



ენის უცოდნელობა მასწავლებელმა ისეთ შავრდებს, რომელთაც რუსული არ იცინა?

ჩვენ დავესწარით მუთაისის მასწავლებელთა კრებაზე, როცა ბ. ბაზილევსკი რუსული ენის გაკვეთილს აძლევდა მუთაისის საქალაქო სასწავლებლის შავრდებს; ვნახეთ — როგორ უხსნიდა ის ქართველ ყმაწვილებს რუსულს სიტყვებსა; ვნახეთ — როგორ სთხოვდა ქართველ მასწავლებლებს, ესა-და-ეს რუსული სიტყვა გადაუთარგმნეთო. ვნახეთ და მართალი გითხრათ ორივე შეგვებრაღა: მასწავლებელიც და შავრდებიც. მართი საათი მოუწდა სამი-ოთხი რუსული სიტყვის ახსნას და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შავრდები, გამოვიდოდნენ თუ არა სკოლიდან, იმ ოთხს სიტყვასაც იმ წამსვე დაივიწყებდნენ.

ბეაკვირებს — რისთვის იწუხებენ თავს და რისთვის სტანჯავენ თვით ყმაწვილებსაც! თუ ყოველ პედაგოგიურ მოთხოვნაზე ივიწყებენ, ის მაინც მოიფიქრონ, რომ მოსამზადებელ კლასებში ისეთი მასწავლებელი დაიჭირონ, რომელსაც ქართული ესმოდეს, რომელსაც შეეძლო ყმაწვილებს გააგებინოს, აუხსნას, რაც უნდა! თორემ ყმაწვილები ხომ ამ შემთხვევაში თუთიყუშები გამოდიან, რომელთაც ეუბნებიან დაისწავლე და დაიხსნამე, რომ „ქაროვა“ — ძროხაა, „კაზიოლი“ — თხა, „დურაკ“ — სულელი და სხვ.

რუსული ენის სასწავლებლად ყმაწვილებმა რუსული ლექსები უნდა გაიზვიანონ მოსამზადებელ კლასის შავრდებმა! ღმერთი არა გწამთ! ასე რომ ტანჯავთ უსუსურს ყმაწვილების ტინს, არ გებრალბებთ? ბოვშს რუსული სიტყვები არ ესმის და თქვენ ლექსებს აზვიანებინებთ?

ამისი აზრით, გიმნაზიებში რუსულ ენის სწავლების მიზანი ის უნდა იყოს, რომ ეს ენა ისე უნდა შეისწავლონ შავრდებმა, როგორც თავის

საკუთარი ენა. და ამ აზრის მისაღწევნელად, ე. ი. რუსულ ენაში შავრდების გასაგებებლად, კამისიამ გარდასწყვიტა, რომ ყველა სხვა საგნების მასწავლებლები უნდა იღებდნენ მხურვალე მონაწილეობასაო. ისტორიის, გეოგრაფიის, სამღვთო წერილის, მათემატიკის, ლათინურ ენის მასწავლებლებმა, რომელნიც კამისიაში ერივნენ, ყველამ ერთ-ხმად გამოაცხადა, რომ როცა ჩვენს საგანს ვასწავლით; უმთავრესი ყურადღება ჩვენ იმაზედ ვაქვს მიქცეული, რომ შავრდებმა კარგათ გამოსთქვან ყოველი სიტყვა რუსულად და კარგის რუსულის ენით ილაპარაკონო. პროგნოზიზაში ქართულ ენის მასწავლებელმა ვილაც ბ. ჩიმაკაძემ გამოაცხადა კამისიაში, რომ მე დღემდინაც ქართულ ენის სწავლების დროს მუდამ ის მქონდა მხედველობაშიო, რომ რუსულ ენაში გამეგარჯიშებინა ჩემი შავრდებიო; ამისთვის ყოველ ქართულ სტატიას რუსულად ვათარგმნებ ყმაწვილებსაო და სხვ. და სხვ.

რალა თქმა უნდა, რომ ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ იმისი, რომ სახელმწიფო გიმნაზიის ქართველ შავრდებმა და ან ვინც გინდა სხვამ კარგათ, ზედმიწევნით შეისწავლოს რუსული და თუნდაც ათიც უცხო ენა. მაგრამ ჩვენ ვერ ვეტყვი, კეთილგონიერება, სწავლის სარგებლობა და პედაგოგია მოითხოვდეს იმას, რომ ერთის ენის შესწავლა მსხვერპლად შესწირონ სხვა ყველა ენებისა და საგნების შესწავლა.

ბეაკვირებს, რომ მუთაისის გროგნაზიის მასწავლებლებს ვერ გაუგიათ თვით მიზანი რუსეთის საშუალო სასწავლებლებისა. მა მიზანი სრულიად იმაში როდი მდგომარეობს, რომ მხოლოდ ერთი რომელიმე ენა ასწავლონ შავრდებს და დანარჩენი საგნები ამ ენის მსხვერპლად ვახდონ. უმთავრესი მიზანი საშუალო სასწავლებლისა (გიმნაზიებისა) მდგომარეობს

მარეობს იმაში, რომ იმდენათ ასწავლონ სხვა-და-სხვა საგნები, იმდენი საზოგადო განათლება მისცენ, რომ შემდეგ, როცა ამ სასწავლებლიდან გამოვა ყმაწვილი კაცი, თუ უმადლესი, სპეციალურ სწავლის ღონისძიება არა აქვს, იმ საზოგადოების სასარგებლოდ, გამოსადგე წვერად შეიქმნეს და თუ უმადლესი სწავლის საშუალება აქვს, შეეძლოს გაგრობა ამ მაღალ სწავლისა.

მაგრამ ჩვენში, როგორც თითქმის სხვა ყველაფერი, სწავლის საქმეც უკუღმართად ესმის და უკუღმართად მიდის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, როგორც მუთაისის პროგნოზიზის მასწავლებლებს, როგორც პედაგოგებს, უნდა ესმოდეს უმსგავსობა და უფარგისობა იმ რუსულ ენის შესწავლის პროგრამისა, რომლითაც ხელმძღვანელობა იმათ დაადგინეს; უნდა ესმოდეს, თუ კი ინიჩი მაინც ესმის რამე პედაგოგისა.

მაშ რისთვის, რა განზრახვით უნდა იმათ ამ გვარის სწავლით დაამახინჯონ ყმაწვილების გონება და ტვინი? მის უნდა ასიამოვნოთ ამით?..

ს. პ.

სიტყვა

ახსენებდნენ გრიგორისა „წერაკითხვის საზოგადოების“ სახელს სკოლის გახსნაზედ.

ბედნიერი ვარ ქვემარტად, რომ მელირსა მე ამ სკოლის დალოცვა.

ბევრი ხანი არ არის, რაც დავესწარი ქალაქის სახელოსნო სკოლის გამართვას და ვხარე, რომ ჩვენი დედა-ქალაქის მცხოვრებთა შვილები მიიღებენ მათთვის საჭირო განათლებას. ღღეს ვესწრები მეორე სკოლის გამართვას ჩვენი ქალაქის მოზარდ ყმაწვილთათვის.

საიმედო მოვლენაა, ძმანო, ესე-

ვითარი სკოლა ჩვენი ქალაქის სათვის. მს არის პირველი სასწავლებელი; რომელიც საზოგადო ქართველთა მეოხებით და ღონისძიებით არის გამართული. ღღემდის. ქოველი სოფლის საზოგადოება, ყოველი წოდება — საერო და სასულიერო — თავის შვილებისათვის იმართავდა სკოლებს, თავიანთ სოფლებში და თავიანთ ადგილებში. მაგრამ დღეს კი, ამ სკოლის გამართვაში, შეერთდა ყოველი წოდების და ღირსების ქართველი კაცი და მიიღო მონაწილეობა მრთელმა საქართველომ.

საიმედოა და სამხიარულო ამ სკოლის გამართვა. ჯერ კიდევ შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენს დაუდევნელობაზე იყო ლაპარაკი; მაგრამ, სამხიარულოთ, ამ უკანასკნელს დროებში, ყოველი წელი აცლის თითო-თითო ქვას იმ ქვიშაზე გიმენებულ შენობას, რომელსაც ქართველობის გულ-გრილობას ეძახიან. ქოველი წელს მოაქვს ჩვენთვის ან თავად-აზნაურთა ბანკები, ან სასოფლო კასები, ან დამზოგველი საზოგადოება, ან ქართული მწიგნობრობის წარმატება, ან ქართული გალობა, ან თეატრი და სხვ. მაგრამ ყველაზე უფრო მაღლა ჩვენს ცხოვრებაში ჰსდგას სკოლა და ეს სკოლები კი, ღვთის მადლით, დღითიდღე მრავლდებიან ჩვენში, ჩვენ-და-სასიხარულოთ და საწუგეზოდ.

სოფლის საზოგადოებათა ას ოცზე მეტი სკოლები აქეთ დღეს გამართული საქართველოში. თავად-აზნაურებს თავიანთი სკოლა აქვთ, სამღვდელოებს — თავიანთი; ეხლა საქართველოს ექსარხოსმა დააარსა საქალეო სასულიერო სასწავლებელი... ამდენმა სკოლებმა, ადრე თუ გვიან, უნდა აღამაღლოს ჩვენი ხალხი და ჩვენ სრულის იმედით შევსცქერით საქართველოს მომავალს.

მაგრამ საქმე მარტო სკოლების გამართვა კი არ არის; საქმე ისაა,

ვოდველისათვის ან და ბალეტისათვის მუსიკა არ შეეთხზა. 1847 წელს იმას მისცეს კავალმეისტრობა *Comedie-Française*-ის თეატრში.

1855 წელს პარიჟის პირველ მსოფლიო გამოფენის დროს, ამან გაიწყო საკუთარი თეატრი *Bouffes-Parisiens*; აფიშებში გამოაცხადა შემდეგი: „შემაბძინდით, უფაღნა და მანდაღნასანსა“, ოპერეტა ერთ მოქმედებათ. და კიდევ ორი სხვა ახალი ოპერეტა...

აქედამ იწყება ოქტენბახის კაპანწყეცა: ერთი ნაწილი საზოგადოებისა აუყაყანდა: ამბობდნენ: იმის თეატრში გარყენილობის სურათების მეტს ვერას ნახავს კაციო; პატროსან ქალს იქ არ შეესვლებაო და სხვ. მაგრამ მაგიერათ მეორე ნაწილი საზოგადოებისა აქებდა და აქვებდა ოქტენბახს.

ზამოფენის შემდეგ ამან დასწერა თავის საუკეთესო თხზულებანი *Orphée*

aux Enfers და *La belle Hélène* („ორფეი ჯოჯოხეთში და მშვენიერი მღენე“). მართლაც, გასაოცარია ეს ორი თხზულება: რამდენი ოხუნჯობა, რა მხიარული მუსიკა უნდა შეთხზას კაცმა, რომ ცოტათი მაინც დაამსგავსოს ამ თხზულებებს. ზაითქვა ოქტენბახის სახელი, ყველგან მღერიან და ცეკვობენ იმის მუსიკაზე. იმის თეატრი გაქედლითა ყოველ ღამე ხალხით. მაინც არა ეშველა-რა: გასაოცარი ხარჯის გამო გაკოტრდა პირველად.

1865 წელს როგორც იქნა წამოიღვა კიდევ ფეხი და გასტანა ბერმანიასთან ომამდის; მაშინ კი იძულებული იყო დაეხურა თეატრი და გასულიყო პარიზიდან, რადგან ისეთი სიძულვილი ჩაუვარდათ ფრანცუზებს ნემეცებისა, რომ იმას სიკეთეს არ დააყრიდნენ.... მორიგების შემდეგ ოქტენბახი დაბრუნდა პარიჟში. მილაცამ ჰკითხა:

— რას აპირებთ ახლაო?

— მე? არაფელს! უპასუხა ოქტენბახმა, — ყოველთვის დაუკრავენ ოქტენბახის მუსიკას, ყოველთვის იმღერებენ ოქტენბახის მუსიკას, ყოველთვის იცეკვებენ ოქტენბახის მუსიკაზედო! აი, რას ვაპირებო! სთქვა იმან.

შველა ეს სიტყვები, თუმცა ეხლა გამართლდა მაგრამ მაშინ კი ცუდი დღე დააყენეს ფრანცუზებმა. როგორც კი გახსნა თეატრი, უსტინეს და დაჰკიდეს. ამის შემდეგ ის იძულებული იყო დაეხურა თეატრი, მაგრამ მოხერხებული კაცი არავითარ შემთხვევაში არ დაიკარგება: — ერთ თვეზე იმან დასწერა ახალი ოპერეტა: „პარიჟის ცხოვრება“, რომელშიაც გამოიყვანა ერთი გერმანიელი ბარონი, რომელსაც პარიჟში ზუნურად დასცინიან და რომელზედაც ოხუნჯობენ პარიჟელი მოსამსახურე ქალები. ამ თხზულებით ცოტა მოიბრუნა პარიჟელების გული და მესამედ გაღურჩა გაკოტრებას.

ძალიან ძნელად შეხვედბა კაცი ამისთანა ენერგიულს კაცს, როგორც იყო ოქტენბახი. მერაფერმა ვერ შეაძრწუნა და შეაჩერა თავის მუშაობაში... უკანასკნელ დროს მთელი ოცი წელიწადი ქარებით იყო ავთა, მაგრამ თავის საუკეთესო თხზულებები ამ ავთამყოფობაში დასწერა.

ასზე მეტი პიესა დაუწერია. ახლა ამზადებდნენ იმის ახალ პიესას *La Belle Lurette* და სამი დღის წინეთ სიკვდილისა კიდევ დაესწრო ამ პიესის რეპეტიციაზე; სიკვდილმა ნება აღარ მისცა თვითონ წარმოადგენაზე დასწრებოდა.

ღღის ამბით, ცერემონიით გაასვენეს 60,000 მეტი ხალხი დაესწრო. ზამოჩენილ მომღერლებმა, ჭორმა და სხვ. იმღერეს „მესსა“, საგანგებოთ ამ შემთხვევისათვის დაწერილი.

კოტე მესხი.

პარიჟი 15 ოქტომბერს.

იქმნებიან ეს სკოლები კარგათ წარმართებულნი თუ არა? შეიძლება თუ არა ესენი შეიქმნენ ჩვენი ცხოვრების კარიბჭედ, რომლიდამაც ყოველი კეთილი და ყოველი პატიოსანი შემოვიდეს ჩვენს ცხოვრებაში? ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იქმნება წარმართებული ქართული სკოლა და როგორ დაფუძნდება ამ სკოლაში რელიგიური, ზნეობითი და გონებითი აღზრდა მოსწავლეთა.

მისმა იმპერატორებით უმაღლესობამ ხელმწიფემ დიდმა მთავარმა ძველკასიის ნამესტინიკმა მარად დაუცხრომლოდ მზრუნველმა თვისის სამმართველოის კეთილ-დღეობისათვის, მოუწოდა ძველკასიის განათლების მმართველად ისეთ პირთა, რომელნიც ღირსებით და საქმის ცოდნით ასრულებენ სახალხო განათლების წარმართების საქმეს. ჩვენი საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ოკრუგის მზრუნველობა წარმართავს ამ სკოლებს რიგიანათ და სასარგებლოდ მამულისა და ტანტისა.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი სახალხო სკოლების პროგრამა რიგიანათ იქმნება შეთანხმებულად აღდგომლივ მოთხოვნების საჭიროებასთან და ჩვენ სკოლებს არ მოაკლდებათ პედაგოგიური მოთხოვნილებით წარმართება.

ეს სკოლა „წერა-კითხვის ბამავერცელებელის საზოგადოებისა“ არის პირველი სკოლა საზოგადოების სრული ხარჯით გამართული. როგორც ყოველს საქმეში, დასაწყისი აქაც ძნელია ამ საზოგადოებისათვის, რადგანაც ძნელი და მძიმე მოვალეობა აწევს იმ პირთა, რომელთაც საზოგადოებამ მიანდო მართველობა ამ კეთილ საქმისა. საქართველოს სკოლებს ბევრი შემწეობა ჰქვიათ, რადგანაც სახალხო განათლება ჩვენში საყოველთაო მოთხოვნილებაა. ჩვენი საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ამ საზოგადოების მმართველობის წევრნი რიგიანათ აღასრულებენ მათდამი დადგენილ მოვალეობას.

ჩვენ, საზოგადოების წევრთა, ვეცადით, ძმანო, აღმოუჩინოთ ამ კეთილ საქმეს ყოველ გვარი შემწეობა, რაც კი შესაძლო იქნება ჩვენთვის.

ღმერთმან აკურთხოს ეს სკოლა და დალოცოს ამ სკოლის შემწენი, მოსწავლენი და მასწავლებლნი. ამინ.

ახალი ამბავი

ბუშინ-წინ, 14 ამ თვისას, გაიმართა ქალაქში, საპერნის ქუჩაზე, № 41, სახალხო სკოლა წერა-კითხვის ბამავერცელებელის საზოგადოებისა.

სკოლა ჯერ-დროებით გაიმართა ოც-და-ათ ყმაწვილთათვის. მოკლეს დროში, როდესაც სკოლის ოთახს გაადიდებენ, სკოლაში მიიღებენ კიდევ ოცი-ოდე ყმაწვილს.

ეს სკოლა, როგორც იცინ ჩვენმა მკითხველებმა, ორივე სქესის ბავშვებისათვის არის გაართული.

სკოლის გამართვას დაესწრენ: თბრიგოლი დიმიტრის-ძე მრბელიანი, პ. მ. მამაცოვი, ლუბერნიის მარშალი თავ. დ. ა. სუმბათოვი, უფზდის მარშალი დ. ა., მაღალოვი, სამოსწავლო ოკრუგის ინსპექტორი ილიაშენკო, ობილისის სახალხო სკოლების დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ხითაროვი, ყმაწვილები და მათი მშობლები.

არხიმანდიტმა ბრიგორი (დადიანმა) აკურთხა სკოლა და პანაშვიდის შემდეგ წარმოსთქა სიტყვა, რომელიც მრთლად მოგვყავს ქვემოთ.

სკოლის ოსტატათ არის დანიშნული დ. მ. ლენინი და ქალების ჭრაკვერის მასწავლებლათ ა. დ. მანანოვისა.

როგორც გვითხრეს, ამ სკოლის შენახვა საზოგადოებას უჯდება წელიწადში ას-ოც თუმნათ.

ჩვენი მკითხველებისა და განსაკუთრებით იმ პირთა ყუდადღებას, რომელთაც ამ გვარი საქმე შეეხება, მივაქცევთ ამ წერილს, რომელიც ამ დღეებში მოგვივიდა შულავერიდამ:

„დიდი ხანია გამოცხადებულია, რომ არაგინ არ გაბედოს მათრახით ანუ როზვით ცემა ვისმეს, რადგან ეს კანონით აღკრძალული არის სასტიკათ. მაგრამ ამას ჩვენში, როგორც ეტყობა, ყურადღებას არ აქცევენ. სექტემბრის 28-ამ წლისას ბორჩალოს მაზრაში სოფელს შულავერში მოხდა ესე საქმე:

„სათის ცხრასა დილით სოფლის მამასახლისმა დაიბარა თავის დესეტნიკით ოთხი საპატიო კაცები; მათ რიცხვში იყო ერთი როსტომა ნადიროვი. როდესაც გამოცხადნენ სოფლის კანცელარიაში, მამასახლისმა ჰკისხა: ბეგრის ფული მოგიკრფევათ თქვენი ნაწილის. თუ არა. მათ უთქვამთ: მშკთა გვაქს, გნებათ მიიღეთ ჩვენი წილი ფულიო. მამასახლისს უთქვამს: ჯერ მეორე უბნების მხათ არ არის, ისევე თქვენ შეინახეთ, ვიდრე იმათაც მოიმხადონ თავიანთი წილიო. ამათ უპასუხნათ, რომ, თუ კი აგრე საქირო არ იყო ჯერ ფული, რალათ გეცემათ იმ საწყალი დესეტნიკისთვის, რომ ტირილით დადიოდა ქუჩებში. ამ თქმანედ ამდგარა მამასახლისი. და ფიცხლავ მივარდნილა ხსენებულ ნადიროვს და თავის ხელით ჯერ უცემია ბეგრი და შემდეგ დაუძახნია ყაზახისთვის. ორი ყაზახი მოსულან, ამათა და მამასახლისის მათრახებით დაუწყევათ ცემა, კანცელარიიდან ვიდრე ტუსახანამდინ თვითონ მამასახლისი უკან მიზდევდა ყაზახებს უბრძანებდა თურმე, სცემეთ! მაგრათ! მსრეთის ტანჯვით და ცემითა ქუჩა-ქუჩა წაიყვანეს ტუსახანის კარებამდე, რომელიც იქნება ნახევარვერსამდინ, სადაც ნადიროვი წაქცე-

ულა; მამასახლისმა შეათრეინა დატანჯული კაცი ერთ ჭუჭყიან ბოსელში, დაატუსადა, შევადამდინ შეინახა მშვიერ-მწყურვალი.

„მეორე დღეს პატრონებმა წაიყვანეს აჩვენეს გამომედიგელს, მერე ფურგუნით ჩამოიყვანეს ქალაქში შეამოწმებინეს დობტურს და რა გამოვა იქიდან არ ვიცით.“

ჩვენ თვითონ ვნახეთ ეს საწყალი მოხუცებული ნაცემი კაცი—ნადიროვი და რაც აქ სწერია, იმის პირიდან გავიგონეთ. ამას გარდა ვნახეთ ექიმის მოწმობა, რომელშიაც ცხადათ არის ნახვენები, რომ ნადიროვი მძიმეთ ყოფილა ნაცემი და ტანზე დალურჯებული, დასისხლიანებული ლაქები ჰქონია.

ამ ორშაბათს ძალაქის ჩივიის სხდომა ვერ მოხერხდა, რადგან საქმარო რიცხვი ხმოსანებისა არ მოვიდნენ. 24-ის მაგიერ სულ 19 ხმოსანი შეგროვდა.

ბასაკვირველია, ახლა მინც შემოდგომაა, თითქმის ყველანი ქალაქში არიან დაბრუნებული, რატო არ გროვდებიან...

სურამიდან გვატყობინებენ, რომ ამ თვის 2-ს ორი ავაზაკი აზნ. ო. მ.—ძე და ს. მ.—ძე დახვედრიან ერთს სოფბეკაში მცხოვრებ მეტივეს იეხინ—ძეს და ხუთას ათი მანეთი წაურთმევათ ამისთვის. როცა ეს საქმე გამოაშკარებულია და გამოძიებამდინ მისულა, ერთს ხსენებულ მტაცებელთაკან უძღვეია მეტივისათვის ოთხი დესიატინა მიწა, ოლონდ ეს საქმე მოსპეო. მეტივე, ჩივიის საკითხავად, გამომედიგელთან წასულა, რომელსაც ამ დროს მოწმეები დაუსწრია და ამ ნაირად მტკიცე საბუთი აქვს ახლა ხელში ბრალდებულთ დანაშაულობის დასამტკიცებელად.

პირუტყვთა დამცველი ოფილისის საზოგადოება გვაცნობებს, რომ ამ ღვინობისთვის 20-ს იქნება იმის საზოგადო კრება ძველკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში (ალექსანდროვის ბაღში). ძრებაზედ გარეშე პირთაც შეუძლიანთ დასწრება.

ბუშინ, 15-ს, ქალაქში ცივი ქარი ჰქრიდა და საქმოდ აგრილდა. მაგრამ ზამთრის პოახლოების ნიშნები კი არა სჩანს ჯერ-ჯერობით.

იმერეთიდან გვწერენ, რომ ჩვენკენ წელს ისეთი უხვი მოსავალია სიმინდისა, ლომისა და ფეტვის, რომ ამისთანა მოსავალი ამ უკანასკნელ ორმოცი წლის განმავლობაშიაც არავის მოსწრებიაო. თუ ამ ორი კვირის განმავლობაშიაც კიდევ კარგი ტაროსი გავრძელდაო, იმდენი ჭირნახული მოგვივაო, რომ უბრალოდარბ გლენხსაც წლიწადილი მოსავალი სამ ოთხ წელიწადს ეყოფაო.

ღვინის მოსავალიც ძალიან მოხდაო; ნაცარი მხოლოდ აქა-იქ გამოჩნდაო, მაგრამ ისე სუსტად, რომ ვაზს თითქმის სრულად ვერა დააკლო-რაო.

უსხოეთი

წვილი ამბავი. მოგვხსენებთ, ავსტრიის ეხლანდელმა სამინისტრომ რეისხრატის წინანდელ სხდომების დროს ბოჰემიის იმ მაზრებში, სადაც ჩვენების უმრავლესობა სცხოვრობს ჩებური ენა შეათანასწორა სახელმწიფო ნემენცურ ენასთან. ეს განკარგულება არ ექაზნკათ ნემენცების quasi-პატრიოტებს, ანუ ესრედ წოდებულთ ნამდვილ-კონსტიტუციონალებს, რომელნიც კანონიერის ბრძოლის გამართვას რომ ვერ ჰბედადენენ ჩებებთან თავიანთ გვარტომობისათვის წარჩინების მისანიჭებლად, საიმპერატორო მმართველობის ძალას შესტკეორდნენ ხოლმე. ეს მმართველობაც თვისდა შესარცხვენად თითქმის ყოველთვის ეწეოდა მათ ჩებების წინააღმდეგ სხვა-და-სხვა ძალდატანებით. მაგრამ, დრონი იცვალენ, და დღეს მანვე აღიარა ის დამღუპველი შედეგი, რაც მოსდევს ხოლმე ქვეშევრდომ ხალხის საგვარტომო ცხოვრებისა ფრთის შეკეცვას, თუ სკოლებში სწავლის არა-დღედაენაზე წაყვანით, თუ სასამართლოებში ანუ საგანმგეო დაწესებულებაებში საქმეთა სახელმწიფო და არა საგვარტომო ენაზე წარმოგებით და სხვ. აღიარა—მეთქი ასე მოპყრობის დამღუპველი შედეგი, და მხარი მოაცალა ნამდვილ-კონსტიტუციონალებს, რომელთაც ბრმა სიერთაფულემ იქამდის მიაწია, რომ კინალამ ითხოვეს ჩებების საფლას სკოლებშიაც ნემენცურს ენაზედ ესწავლებინათ! თავიანთ ძალის ამარად დარჩენილთ ნამდვილ-კონსტიტუციონალებს ახლა იმისთანა ღონის-ძიებისათვის მოუკიდნიათ ხელი, რომელიც ერთსა-და-იმავე დროს ნიერთიერ კეთილ-დღეობასაც ჰბადებს და საგვარტომო თვითებასაც იცავს: იმათ დაუხსნიათ ამ ცოტა ხანში ბეგრი ნემენცური სკოლები და ნემენცები მასწავლებლებად მოუწვევიათ. ამ სკოლების საშვალეებით ახლა ნამდვილ კონსტიტუციონელებს ჩებების განმეცება კი არ სურთ, უწინდელსავით, არამედ საკუთარი ნემცობის დაცვა ჩუხთა გვარტომობის გავლენისაგან, რომელიც დროთა განმავლობისამებრ თან-და-თან ფრთას ისხამს და ძლიერდება.

შრანცუზული ვაზეთების სიტყვით, ამ უკანასკნელ ხანებში ერთობ გავრცელდა პარიჟში ზნეობის გამრყენელი წიგნები და ვაზეთები, რომელნიც იმ სიტყვებსაც კი პირ-და-პირ იხსენიებენ, რასაც ფიზიოლოგები იგავით ასახე-

ლობენ ხალხე. ამის თაობაზე სამი-
ნისტრო რჩევას სხდომა ჰქონია და
გადაუწყვეტია სამართალში მისცეს ამ
წიგნთა და გაზეთების ავტორნი და
რედაქტორები.

თფილისის საგურნალო

ავათმეოფებს მიიღებენ დილის ცხრას
საათიდან ვიდრე ნაშუადღეის შირველ
საათამდინ.

ორ შახათს: ექიმი გავრანსკი—ქა-
ლის ავათმეოფებისა, ლისიცივი—შიგნეუ-
ლების ავათმეოფებისა, როტინიანტი—ქა-
ლისა და ემწვილების ავათმეოფ., ქიუხა-
რინტი—სირურგოულ და თვალის ავათ-
მეოფებს, ბახუვი—ნერვების ავათმეოფ., და
შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათ-
მეოფებისა.

სამ შახათს: ექ. მინკევიჩი — სი-
რურგოულ ავათმეოფ., ფურაგლევი—ვენე-
რიულ და კანის ავათმეოფ., რეისი—თვა-
ლისა, ბახუვი—გულისა და შინაგანის
ავათმეოფ., ბახუტკვი—ბუბიბის, ქა-
ლისა და ემწვილების ავათმეოფ., გერ-
მიშვიკი—შინაგანის ავათმეოფებისა.

ოთხ შახათს: გავრანსკი—ქაღის
ავათმეოფ., ლისიცივი და რუდკოვსკი—
შინაგანი ავათმეოფ., ასტვანტუროვი—
აღის, შტემბორსკი—ვენერიულ და კა-
ნის, შამპრანსკი—გულის.

ხუთ შახათს: ფურაგლევი—ეულის-
და გულის ტვივილის, როტინიანტი ქა-
ლისა და ემწვილების ავათმეოფ., ქიუხა-
რინტი—ვენერიულ და საშარდე ასკუბის
ავათმეოფ., გერმიშვიკი—შინაგანი ავათ-
მეოფებისათვის.

შახათსკეგს: გავრანსკი—ქაღის
ავათმეოფების, მინკევიჩი—სირურგოუ-
ლის, ლისიცივი—შიგნეულის, ბახუტკ-
ვი—ბუბიბის, ქაღისა და ემწვილების
ბახუვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვან-
ტუროვი—ვენერიულ და კანის, შტემ-
ბორსკი—ვენერიულ და კანის ავათ-
მეოფებისათვის.

შახათს: ფურაგლევი—ვენერიულ და
კანის ავათმეოფებისა, რეისი—თვალის
ბახუვი—გულისა და შიგნეულების და
გერმიშვიკი—შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბახათსკვი მუქთად
სწამლობს ღარბ ავათმეოფებს ოთხ-
შახათობით საღამოს 5 საათიდან
9-დამ (სერგეივის ქუჩა, ბანდუროვის
სახლი)

დოქტორი ფურაგლევი მიიღებს
ღარბ ავათმეოფებს მუდამ დღე საღამოს
6 საათიდან 7-მდინ სამკურნალეოშივე.

კბილის ექიმი ბერესტი ავათმეო-
ფებს, ვისაც სამკურნალეოდამ ქაღალდი
ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლ-
ში (გოლავინის პრესიუკი, ზარაფოვის
სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის
9 საათიდან 11-მდინ სამკურნალეოში ღარბ
ბუბია ავათმეოფი ქაღებისათვის.

განცხადებანი

ნამდვილი საუბათოსო კახური

ლვინო

ახალი და ძველი მიღებულია სარკის
ბანჯელოვის სარდაფში

ფასი თითო ბოთლისა

სამი ზაზრიდამ ოთხ აბაზამდინ

სარდაფი იმყოფება მრეწის მე-
დანზე, თ. ლ. არლუთინსკის სახლებ-
ში, „ღროების“ რედაქციის ქვემოთ.
3—2

პავინოვის კომისიონერს სკლადში,

რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზე
არწრუნის თეატრის ქვეშ ეზოში,

ახლათ მიღებულია სალიანიდგან

სალიფეტოჩნი

სიზილა

სამზღვარ გარეთიდან სხვა-და-სხვა
კონსერვები, სხვა-და-სხვა გემოს ლი-
პიორები, საუკეთესო რომი და კო-
ნიაკი, ვენის პივა, არაქვი: შტრი-
ტერისა, პაპოვისა და შაურისა (ეს
უკანასკნელი ჭირმის არაყი ზავოდის
ფასზედაც ნაკლებ იყიდება), პრავენ-
სის ზეთი ბოთლიკებით, ჩაი პაპოვის
და ჩენი; აწონილი შაქარი 1 ხა-
რისხის ბროდსკისა, ინგლისის, კრახ-
მალლი და ლილა, ოდესის სარეცხის
საპონი, საუკეთესო თამბაქო და
პაპირი, ოდესის ფაბრიკანტის
ჩუქისაგან, ლიმონის მსენიანი (ერ-
თი სტაქანი ჩაისთვის, ლიმონადისთვის
ანუ სხვა საჭმელებისათვის ორი-სამი
წვეთია საჭირო, რომ სიმეფე მისცეს).

ეს ზემოხსენებული საქონლები
შედარებით სხვების ფასებთან ნაკლე-
ბი და უკეთესია.
3—2

ზაქარია შიჭინაძის წიგნის მაღაზია-
ში ისყიდება ახლად დაბეჭდილი წიგნი
საქართველოს ეგზარხოსის ნებართვით
პოლემიკური საუბარი მღვდლისა
ინგილოს ექიმისთან

თხზულება ს. ბეგიაშვილისა

ფასი 70 კაპ.

10—2

მუთაისში, გერარდის და აბ. წი-
გნის მაღაზიაში, ახლად მიღებულია
შემდეგი წიგნები.

1) სიტყვანი და მამდგრებანი
თქმ. იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიე-
ლის-მიერ. — — — ფასი 2 მან.

2) ცხოვრება, შრომა და მიცვა-
ლთათა მახარებელთა და მიცვა-
ლებულთა. — — — ფასი 25 კაპ.

3) მოკლე ახსნა ღმრთის ტაძრისა,
თხზ. ბიგაუროვის-მიერ ფასი 25 კაპ.

წიგნის ვაჭრებს, რომელნიც გამო-
იწერენ არა-ნაკლებს 10 ეგემპლია-
რისა 10% ნაკლებ მიეცემათ.

(3—2)

კატანტიანი შრომაები

ამებისაგან 1 მ. 50-დამ და ცხკუ-
ბისათვის 1 მ. 75-დამ; ყუაილები
სახურაგებით 2 მ-ნეთიდან; სარძევე
30 კაპ.; რუძეები 5 კ.-დამ; ფილტრე-
ბი (წელის დასაწმენდი) 3 მ-დამ და
გუდრება 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ
ინიდუჟი; შოკოლადის კანფეტები 20
კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლი-
სურს მაღაზიაში.

(100—70)

ვიღებ

ეპკლესიის კანკელს

ყველა მოწყობილებით და სახლის
მოწყობილების ჩუქურთმას მოსა-
კრელად.

ჩემი ქარხანა იმყოფება საპიორნის
ქუჩაზე, ბერძენოვის სახლში, № 18
კანკელისა და მებუღის ჩუქურთმის
მჭრელი

ღავით იზანეს-ძე გიზაური.

(10—5)

მედიცინის ექიმი

იაკუბოვიჩი

იღებს ვენერიულ ავათმეოფებს სამშა-
ბათობით დილის 11 საათიდან 12
საათამდინ.

ადრესი დოქტორისა: ბალაივის
პროსპექტი, თ. ივ. მუხრანსკი სახლი.
(6—6)

ზაქარია შიჭინაძის წიგნის მაღაზია-
ში (ალექსანდროვის ბაღთან რუსის
საყდრის გვერდით)

იქიდება მარი იზანეს-ძის

ბროსეს

სურათები, თითო 30 კ. ამ სურა-
თებისაგან შემოსული ფულით გამოი-
ცემა თვით ბროსეს ზვერთი სტატუე-
ტი, რომელიც ფრანკო-რუსის ენიდამ
ქართულად ნათარგმნია.

ზარემ მცხოვრებელთათვის ადრესი:

Въ Тифлисъ въ книжный мага-
инъ Зах. Чичинадзе.

ინგლისის მაღაზიაში მიღებუ-
ლია შამოლადი და კაპოო ჩრბი.
(20—10)

**ინგლისის მაღა-
ზია**

Maison de confiance

შუადრეთი წიგნი ნაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის წიგნი—1 მ. 40 კ.

— — —	1—20	— —	1—60
— — —	1—40	— —	1—80
— — —	1—60	— —	2—
— — —	1—80	— —	2—50
საუკეთესო—	2—	— —	3—

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც:
თოფები, რევოლვერები, კრაოტები,

კურკელი, ჩაიდნები, კაფუნი, კაპო-
ნები, კოვები, ტამბები, კალმები,
ქალაღი, შოკოლადი, კაკაო, კანფე-
ტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირი-
ბი, კლეიონკა, წინდები—კაციო და
ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ
კალენკორი—სულ ყველაფერი 25-
დამ 50 პროცენტით უფრო იაფად,
ვიღებ სხვა რომელსამე მაღაზიაში.

მინც ქალაქს გარედამ 25 მანეთი-
დამ 1000 მანეთამდინ საქონელს გა-
მოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ
ინდის.
(100—45)

სამაზრო სახლი

**იაგორ კასუო-
ვი ღააბს.**

შემოჩილესად სთხოვს პირველ და
მეორე ხარისხის პაისჩიკებს მოზრძან-
დენ მთავარ მანტორაში ამხანაგო-
ბის ნამდვილ პაების მისაღებად იმ
მოწმობის მაგიერად, რომელიც იმა-
დროებით ჰქონდათ მოცემული.

მანტორა იმყოფება მრეწის მე-
დანზე, ზაყელის სახლებში და გაღე-
ბულია ყოველ დღე დილის 9 სა-
თიდან ნაგვალდღეის 2 საათამდინ,
უქმე დღეებში კი დილის 9 საათი-
დამ 11-მდინ.
(5—4)

პატივი მაქვს თფილისის პატივცე-
მულ საზოგადოებასა და განსაკუთრე-
ბულ ნამდვილ თათრულ თამბაქოს
მოყვარეებს ვაცნობო, რომ ამ თვეში
მე მივიღე ოსმალეთიდან ჩემი თამბა-
ქოს ფაბრიკისათვის საუკეთესო და
უმაღლესი ხარისხის თამბაქო მწიფისა,
მეობკისა, შერჯანისა, ბასმისა, ხრმი-
სა, ბაჭრასი და სამსონისა. ამ ზე-
მოხსენებულ ექვსი ჯურის თამბაქო-
საგან გაკეთებული და დამზადებული
თამბაქო გირვანქა ელირება 4, 5, 6,
8, 10, და 12 მან.; 1 გირვანქა სამ-
სონის თამბაქო გაიყიდება 3, 4 და
5 მანეთად.

მსურველს მომართოს ჩემს თამბა-
ქოს მაღაზიაში სასახლის ქუჩაზე არ-
წრუნის ქარვასლაში, № 1.

მაღაქს გირეშე მცხოვრებნი პირ
და-პირ ჩემს სახელობაზედ გამოგზავ-
ნიან წერილსა და თან ხვედრ ფულს
ღაბარებული თამბაქო პირველის ფრ-
ტითვე გაეგზავნება მომთხოვნელს.

თამბაქოს ფაბრიკანტი

ბ. გოზარჯინაძე

3—1

შენიშვნა

დადგან მოელს ქვეყანაში გამომჩენილი
და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ-მასტერი

ერთობ ბევრი ისეიღება, ამის გამო
ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი
ესლ 2 მათად ღირს.

(100—63)